მამუკა მაღულარია

[კოვიდ] 19 [ჯანდაბა]

-1-

იმ ღამით, ყველას რომ ეძინა, ეზოში ვიჯექი, ძველი კონიაკით მქონდა სავსე მოზრდილი ჭიქა და ვეწეოდი. ამის ატანა ძალიან გაჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო - ლამის მთელი მსოფლიო კარანტინში აღმოჩნდა, რაღაც საშინელი ვირუსის გამო. ვიჯექი და მგონი პირველად ცხოვრებაში არაფერზე ვფიქრობდი, ის რომ გამომეცხადა. აქამდე მისთვი თვალი არასოდეს მომიკრავს. ძალიან ლამაზი კი იყო. თაყვანის ცემა არ უთხოვია, როგორც ძველ ეგვიპტეში და მგონი არც არაფერს ითხოვდა, პირიქით მისი ხმა, რაღაც ნუგეშად თუ თანაგრძნობად გაისმოდა, კომენდანტის საათით დაპაუზებულ ამ შუა ღამისას. ვირტუალურმა ურთიერთობებმა, მგონი ვერ გაამართლა. ამის გამო, უფრო ვიყავი მოწყენილი, ვიდრე ვირუსის გამო შეშინებული. თენდებოდა თუ კონიაკმა გამინათა გონება არ ვიცი, მაგრამ თვალებში რომ შევხედე, გავიფიქრე:

აი დედამიწის ორივე ნახევარსფერო, მარცხენაც და მარჯვენაც აქაა.

ნეტა ამათზეც თუ მოქმედებს ეს ვირუსი.

ალბათ დაბერდა. თაგვებზე ვეღარ ნადირობს ეტყობა.

თუ თაგვები დაილია ძველ ქალაქში.

ახლა ხომ თაგვის წელია. ეტყობა ძალიან შია.

არა, თაგვს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე. ან იქნებ თაგვის წელს ცემენ პატივს.

ისე რა დამთხვევაა: ეს თაგვის წელი რომ დაიწყო, აღმოსავლური კალენდრით, მაშინვე ამ ვირუსმა არ იფეთქა, თან ზუსტად იქ სადაც ეს კალენდარი მოიგონეს. უცნაურია, ესენი თუ ცნობენ მაგ კალენდარს, იმათ რა ღმერთი გაუწყრათ.

ეჰ, ამ წელში მეც მქონდა გეგმები და მათი განხორციელების იმედიც, მაგრამ ყველაფერი რაღაც უხილავმა, ადამიანზე მილიონჯერ პატარა მიკროორგამიზმმა გააუქმა. ზოგი ამბობდა, ღვთის რისხვაა კაცობრიობის ცოდვებისთვისო. ზოგი –

დასავლეთის შეთქმულება აღმოსავლეთის წინააღმდეგო, და ზოგიც – პირიქით.
სხვა რა გზაა, კონიაკი მაინც უნდა ჩამოვისხა და ამასაც ყველს წამოუღებ.
ჭამე, ჭამე - მგონი მართლა ერთი წელი გვეყოფა ყველას, იმდენია.
სანამ უნდა ვიყოთ სახლში ჩაკეტილები, უსაქმურობისაგან ვიბანოთ ხელი, ვუყუროთ ტელევიზორს და ვათვალიეროთ ინტერნეტი. კიდევ კარგი შენ მაინც გამოჩნდი.
დანაყრდი? ჰო, ყველს მგონი არაუშავს. არ ღირს მადლობად. ცუდია კონიაკს რომ არ სვამ.
არა იმათი გამკვირვებია, რომ იძახიან – რა კარგია სახლში დარჩენა, ოჯახთან ურთიერთობა და წიგნის კითხვაო. არ ვიცი სხვა როგორ, მაგრამ მე კი ამ ყველაფრმა, მგონი ცოტა გამომაშტერა. დღე და ღამე ამერია. არც ვიცი და არც მაინტერესებს რომელი საათია, ვზივარ აგერ და გესაუბრები. მერე რა რომ შენ არ სვამ და არც ეწევი. სამაგიეროდ ნამდვილი ხარ და არა ვირტუალური. ნეტა რამე თუ გესმის, მაგრამ ისეთ ხმას უშვებ, რომ ნამდვილად უნდა გესმოდეს. ჰო ვიცი, ვიცი - ყველაფერი კარგად იქნება.

-2-

აფცი, უჰ, ეჰ, ფცი, ბლია, ფუჰ, ფქ, ა ფცი, შთ, ტფუი...
შეუძლებელია! ამას როგორ წარმოვიდგენდი.
ვითომ, გავცივდი? იმ ღამეს კონიაკს რომ ვწრუპავდით. განსაკუთრებული რომ არაფერი მიგრძვნია? სიცხეც კი გავიზომე მაგრამ, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. ან იქნებ ამდენმა საშინელმა ინფორმაციამ მომიღო ბოლო. ეჰ, მაგას ვინღა გაარკვევს – ძალიან ძვირი ყოფილა თურმე და რაც მთავარია დაგვიანებული. ქელეხის ხარჯებზე კი არა, ანდერძზეც კი არ მიფიქრია. მე ხომ ყოველთვის ვიცოდი, რომ ყველაფერი კარგად იქნება...
ჰოდა ვიწექი ასე, გულხელდაკრეფილი მშობლიური სახლის ყველაზე დიდი ოთახის

ცენტრში და უკვე აღარაფერი შემეძლო. ჩემი ყველაზე ძვირფასი, ახლობელი ხალხი სწორედ ამ დროს აღმოჩნდა ზოგი გასაჭირში, ზოგი პანიკაში და ზოგიც საზღვარგარეთ, ჩაკეტილ საზღვრებში.

და მაინც, მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, ყველამ დიდი პატივი მცა ფინანსურად და ადმინისტრაციულად. შეიძლება ითქვას ამ წუთას მე ვიყავი ყველანაირად უზრუნველყოფილი მიცვალებული. ვიწექი საუკეთესო სასახლეში. გარს მერტყა არაჩვეულებრივი სილამაზის ყვავილები და მოგვარებული მქონდა ყველანაირი წვრილმანი, რაც კი მიცვალებულმა შეიძლება ინატროს.

ხვალ დლით, მე სამუდამოდ ვტოვებდი ამ ცოდვილ, თან უკვე დავირუსებულ ქვეყანას.

მხოლოდ ერთ რამეზე მწყდებოდა გული. ვწუხდი, რომ ოთახში მარტო ვიყავი. არავინ იჯდა გარშემო და არ ქვითინებდა, არავინ მინთებდა სანთელს თავთან და არ ჩურჩულებდა არაფერზე. ასეთი ყოფა იმდენად აუტანელი იყო, რომ შემძლებოდა აუცილებლად გავცოცხლდებოდი.

ამ ტანჯვაში ვიყავი, რომ მოულოდნელად ნათლად ვიგრძენი, რომ ოთახში ვიღაცაა. ზედ მარცხენა ყურთან ვიღაცის სუნთქვას ვგრძნობდი, მერე ნაცნობი ხმაც ჩამესმა და ბოლოს ლოყაც ვიღაცამ ალერსიანად ამილოკა. ჩემი ძველი ნაცნობი იყო - ულამაზესი, ფუმფულა ჭრელი კატა, ძველი ეგვიპტელები რომ აღმერთებდნენ და ჩვენ კი ვერ ვამჩნევდით. მის მზერას ვგრძნობდი, იმ უზარმაზარი თვალებიდან რომ მოდიოდა, დედამიწის ორივე ნახევარსფეროს რომ იტევს - მარცხენასაც და მარჯვენასაც და, ბოლოს ისეთი სითბო ჩამეღვარა გაყინულ სხეულში, რომ მივხვდი:

მკვდარი კი არა სიზმარში ვარ,

უკვე თავზე დამათენდა,

კომენდანტის საათიც ამოიწურა

და საცაა მზეც ამოვა